V კლასი

მეხუთე კლასის ტესტის ჯამური ქულაა 100. ტესტში წარმოდგენილია 5 სავარჯიშო და სულ 30 საკითხი. ტესტი შედგება არჩევითპასუხიანი, დახურული ტიპის დავალებებისგან. ტესტის გამსვლელი ქულაა 35. ტესტი ამოწმებს მოსწავლის გრამატიკულ და ლექსიკურ ცოდნას, ასევე ტექსტის გააზრების უნარს. დავალებები მოიცავს არსებითი სახელის ბრუნვებს, ზედსართავი სახელის სწორად გამოყენებას, რიცხვითი სახელების სწორად ამოცნობას, ნაცვალსახელების ჯგუფებსა და ტექსტის შინაარსის გააზრებას.

სავარჯიშო 1: არსებითი სახელი და მისი ბრუნვა

ეს სავარჯიშო ამოწმებს მოსწავლის ცოდნას არსებითი სახელის შესახებ. მოსწავლემ უნდა შეძლოს არსებითი სახელის ამოცნობა სხვა მეტყველების ნაწილებს შორის, განსაზღვროს მისი ბრუნვა და გაარჩიოს საკუთარი და საზოგადო სახელები. ასევე მოსწავლემ უნდა შეძლოს წინადადებაში არსებითი სახელების რაოდენობის დადგენა.

სავარჯიშო არის **10 ქულიანი** და შედგება **5 საკითხისგან**, შესაბამისად თითოეული საკითხის ქულა არის **2**.

მაგალითი:
რომელი სიტყვაა არსებითი სახელი?
ა) ლამაზი ბ) ხე გ) მოდის

სავარჯიშო 2: ზედსართავი სახელი

ეს ნაწილი ამოწმებს მოსწავლის ცოდნას ზედსართავი სახელის შესახებ. მოსწავლემ უნდა შეძლოს ზედსართავი სახელის ამოცნობა, განსაზღვროს, რა კითხვას პასუხობს იგი და გაიგოს, რა თვისებას გამოხატავს სიტყვა — ფერს, ზომას ან ადამიანის თვისებას. ასევე მნიშვნელოვანია ზედსართავი სახელის სწორად გამოყენება წინადადებაში.

სავარჯიშო არის **10 ქულიანი** და შედგება **5 საკითხისგან**, შესაბამისად თითოეული საკითხის ქულა არის **2**.

მაგალითი:
რომელი სიტყვა არის ზედსართავი სახელი?
ა) თეთრი ბ) წერილი გ) მიდის

სავარჯიშო 3: რიცხვითი სახელები და მათი მართლწერა

ეს სავარჯიშო ამოწმებს მოსწავლის ცოდნას რიცხვითი სახელების შესახებ. მოსწავლემ უნდა შეძლოს რიცხვითი სახელის ამოცნობა წინადადებაში, გაარჩიოს რაოდენობითი, რიგობითი რიცხვითი სახელები და განსაზღვროს, რომელ სიტყვას აქვს რაოდენობის ან რიგის მნიშვნელობა.

სავარჯიშო არის **20 ქულიანი** და შედგება **5 საკითხისგან**, შესაბამისად თითოეული საკითხის ქულა არის **4**.

მაგალითი:
რომელი სიტყვა გამოხატავს საგანთა რიგითობას?
ა) სამი ბ) მეორე გ) ბევრი

სავარჯიშო 4: ნაცვალსახელი და მისი ჯგუფები

მეოთხე სავარჯიშო ამოწმებს მოსწავლის ცოდნას ნაცვალსახელების შესახებ. მოსწავლემ უნდა შეძლოს პირის, ჩვენებითი და სხვა ჯგუფის ნაცვალსახელების ამოცნობა, სწორად გამოიყენოს ისინი წინადადებაში და განსაზღვროს, სად არის დაშვებული გრამატიკული შეცდომა.

სავარჯიშო არის **20 ქულიანი** და შედგება **5 საკითხისგან**, შესაბამისად თითოეული საკითხის ქულა არის **4**.

მაგალითი:
რომელი სიტყვაა მესამე პირის ნაცვალსახელი?
ა) მე ბ) შენ გ) ის

სავარჯიშო 5: ტექსტის გააზრება

ამ ნაწილში მოსწავლეს ეძლევა საინფორმაციო ტექსტი, რომლის მიხედვითაც უნდა უპასუხოს შეკითხვებს. მოსწავლემ უნდა შეძლოს ტექსტში მოცემული ინფორმაციის სწორად გააზრება, მთავარი აზრის განსაზღვრა და ტექსტიდან კონკრეტული ფაქტების ამოცნობა. ეს ნაწილი ამოწმებს კითხვის, გააზრების უნარებს.

სავარჯიშო არის **40 ქულიანი** და შედგება **10 საკითხისგან**, შესაბამისად თითოეული საკითხის ქულა არის **4**.

ტესტის ბოლოს დამატებით მოცემულია **ბონუს-სექცია**, რომელიც შეიცავს **5 შეკითხვას**, თითოეული შეფასებულია **5 ქულით**. ეს ნაწილი მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას მიიღოს დამატებითი ქულები და ნაწილობრივ აანაზღაუროს ტესტში დაშვებული შეცდომები. ბონუს დავალებები მოიცავს ლექსიკურ და გრამატიკულ საკითხებს, ასევე ზოგად ენობრივ ცოდნას.